განკარგულება:**g-63. 63233597**
თარიღი:**25/12/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“, 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს III თავის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის “ტ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის, IVთავის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“, 2024 წლის ხარჯის, მათ შორის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების საკითხი და

გადაწყვიტა:

1.დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ 2024 წლის პროგრამა. (დანართი N1).

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ 2024 წლის შემოსავლების გეგმა სუბსიდიის ჩათვლით (დანართი N2).

3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ 2024 წლის ხარჯი (დანართი N3).

4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“,2024 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (დანართი N4).

5. დამტკიცდეს სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების პედაგოგთა სახელფასო განაკვეთის გაანგარიშება (დანართი N5).

დანართი N1

ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის'' პროგრამა

აღწერა: ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის პროგრამა, გათვლილია დაწყებითი სამუსიკო განათლების სასწავლო გეგმაზე (სწავლის ხანგრძლივობა 6 წელი). იგი ემსახურება მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნებისა და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბებას, რომელიც პიროვნებას საშუალებას აძლევს სრულფასოვნად ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პროგრამა ორიენტირებულია არა მხოლოდ პროფესიულ სამუსიკო განათლებაზე, არამედ მოზარდი თაობის ინტერესებზე არჩევანის უფლების გათვალისწინებით. იგი მიღწევადია თითოეული მოსწავლისათვის სხვადასხვა ხარისხით, შესაძლებლობიდან გამომდინარე. პროგრამა ითვალისწინებს მოზარდი თაობის ინტერესებს, მისი არჩევანის უფლებას.

დაწყებითი სამუსიკო განათლების ამოცანაა მოსწავლეებში სხვადასხვა საკრავით ან ხმით ინდივიდუალური მუსიკალური ცოდნის და ჩვევების გამომუშავება. პროფესიული მუსიკის და ჩვენი ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშების გაცნობა და შესწავლა. მუსიკის მოსმენის ჩვევის ჩამოყალიბება. მუსიკის ისტორიის, ცნობილი კომპოზიტორების და შემსრულებლების შემოქმედების გაცნობა. მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში,ზეიმებში არა მარტო სამუსიკო სკოლაში, არამედ საჯარო სკოლებსა და სხვადასხვა აქტივობებში. პედაგოგის მიერ მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული ბავშვის შესაძლებლობა, გემოვნება და სურვილი ამა თუ იმ ნაწარმოების შესწავლის და შესრულების. დაწყებითი სამუსიკო განათლების უპირველესი ამოცანაა შეუქმნას მოსწავლეს სათანადო გარემო, რათა ბავშვი სრულად გაიხსნას და გამოავლინოს ნიჭი და შესაძლებლობა, შეძლოს თავის სრულად რეალიზება და საზოგადოების წინაშე წარდგომა.

გომის თემის სამუსიკო სკოლაში 2023-2024 სასწავლო წელს სამუსიკო განათლებას 87 მოსწავლე ეუფლება. აქედან 32 ვაჟია და 55 გოგონა, სწავლის გადასახადი ერთ ბავშვზე შეადგენს 7 ლარს თვეში, საკუთარი სახსრებით ნაწილობრივ ფინანსდება ხელფასი, სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯი. მათ შორის სკოლის შენობის რეაბილიტაცია.

სამუსიკო განათლების მიზანია ცოდნის მიცემა მუსიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განათლებულ,კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებას, მუსიკის მსმენელის, შემსრულებელ-მოყვარულის აღზრდა, შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება,განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა გამოვლენა, ელემენტარული კომპლექსური ცოდნა მუსიკის შესახებ, გამოიმუშაოს პირველადი საშემსრულებლო უნარ-ჩვევები და აღზარდოს „მსმენელი“. მოახდინოს მუსიკის მასობრიობა და პოპულარიზაცია. გაზარდოს მუსიკის მოყვარული თაობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები.

მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნის მაქსიმალური გამოჩენა, პედაგოგებისა და მსმენელის წინაშე წარდგენა. გადასაყვან და გამოსაშვებ გამოცდებსა და კონცერტებზე მაქსიმალური შედეგის მიღება.

მოზარდთა მომზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის. შეძენილი ცოდნის პრაქტიკული გამოყენება და დემონსტრირება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი.

მოსწავლის მიერ სკოლაში მიღებული ცოდნის, ტექნიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების მსენელისათვის მაღალპროფესიონალურად ჩვენება.

სკოლაში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის მიღება შესაბამისი პროგრამის მიხედვით. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების მონაწილეობა სხვადასხვა მუსიკალურ კონკურსებში და ფესტივალებში, მათი სწავლებისა და საშემსრულებლო დონის ამაღლება.

ძირითადი ტექნიკური უნარ-ჩვევების გამოყენებით შესწავლილის დამოუკიდებლად და წიგნიერად გადმოცემა.

მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით გამართული საანგარიშო კონცერტები, საჯარო გამოსვლები ინტერესების შესაბამისად შერჩეული პროგრამის ფარგლებში.

განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა გამოვლენა და მიღწეული წარმატებები.

დანართი N2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“

2024 წლის შემოსავლების გეგმა.

(ათასი ლარი)

#	შემოსავლების დასახელება	თანხა
1	სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	94,40
2	საკუთარი შემოსავალი (სწავლის ქირა)	4,90
	სულ:	99,30

დანართი N3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“

2024 წლის ხარჯები

(ათასი ლარი)

ეკ. კლას. კოდი	ორგანიზაციული კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან	2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევი ხარჯები	2024 წლის საკუთარი შემოსავლებით გასაწევი ხარჯები
		ა.(ა.)ი.პ. გომის			

	0502 0104	თემის სამუსიკო სკოლა	99.30	94.40	4.90
		მომუშავეთა რიცხოვნობა	17	17	
2		ხარჯები	99.30	94.40	4.90
2.1		შრომის ანაზღაურება	90.80	85.90	4.90
2.2		საქონელი და მომსახურება	8.50	8.50	0.00

დანართი N4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ 2024 წლის საშტატო განრიგი

N	საშტატო ერთეულის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	ხელფასის რაოდენობა ერთ თვეში	წლიური სუბსიდიით	წლიური საკუთარი შემოსავლით	სულ წლიური
1	დირექტორი	1	726	8712		8712
2	სასწავლო ნაწილი	1	495	5940		5940
3	ბუღალტერი	1	660	7920		7920
4	მნე	1	291	3492		3492
5	საქმეთა მმართველი	1	291	3492		3492
6	ინსტრუმენტის ამწყობი	1	220	2640		2640
7	დამლაგებელი	1	193	2316		2316
8	პედაგოგი	10	4688	51384	4 872	56256
	სულ:	17	7564	85896	4 872	90768

დანართი N5

სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების მასწავლებელთა სახელფასო განაკვეთის გაანგარიშება

	5 წლამდე		5-10 წლამდე		10 წლის ზემოთ	
	განაკვეთი	სთ.ღირებ.	განაკვეთი	სთ.ღირებ.	განაკვეთი	სთ.ღირებ.
საშუალო განათლება	230,38	12,80	235,62	13,09	242,85	13,49
სპეციალური საშუალო განათლება	254,47	14,14	260,91	14,50	267,34	14,85

ბაკალავრი	**278,97**	**15,50**	**285,41**	**15,85**	**291,85**	**16,20**
მაგისტრი	**303,50**	**16,86**	**309,93**	**17,22**	**316,35**	**17,57**
კანდიდატი,დოქტორი	**335,87**	**18,66**	**346,15**	**19,23**	**392,69**	**21,82**

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული
ხელმოწერა/ელექტრონული
შტამპი